



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
10 ოქტომბერი, 2016

ეკონომიკა

ტურიზმი: შსს-ს ინფორმაციით, 2016 წლის სექტემბერში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წლის სექტემბერთან შედარებით 11.0%-ით გაიზარდა და 0.63 მლნ ვიზიტორი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტების რიცხვი 34.2%-ით გაიზარდა, რაც მთლიანი ვიზიტორების 48%-ს შეადგენს. ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა შემდეგი ძირითადი ქვეყნებიდან: რუსეთი (+31.3%), აზერბაიჯანი (+7.6%), სომხეთი (+4.2%) და უკრაინა (+28.1%). ამასთან, ვიზიტორების კლება დაფიქსირდა თურქეთიდან (-21.4%). 2016 წლის 9 თვეში, მთლიანი ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 8.6%-ით და 4.88 მლნ ვიზიტორი შეადგინა.

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.1% შეადგინა. ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებში: ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+11.2%) და რესტორნები და სასტუმროები (+4.8%). ამასთან, ფასები 7.8%-ით შემცირდა ტრანსპორტის კატეგორიაში, რაც განპირობებული იყო სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე ფასების კლებით.

2016 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ფასების დონე 0.3%-ით გაიზარდა. თვის ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+0.8%), წყალი, ელექტროენერგია, და აირი (+0.8%) და ტრანსპორტი (-1.0%).

სავალუტო ინტერვენცია: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, წინა კვირაში გამართულ 2 სავალუტო აუქციონზე 60 მლნ აშშ დოლარი გაყიდა, ლარის მკვეთრი მერყეობის შესანელებლად. სავალუტო ინტერვენცია ეროვნულმა ბანკმა წელს 22-ჯერ განახორციელა (იყიდა 278 მლნ აშშ დოლარი და გაყიდა 200 მლნ აშშ დოლარი). წინა კვირასთან შედარებით ლარი 0.7%-ით გაუფასურდა, ხოლო წლის დასაწყისიდან 2.9%-ით გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2016 წლის სექტემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან შედარებით 30.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (-1.0%), ხოლო წინა წლის სექტემბერთან შედარებით 393.9 მლნ აშშ დოლარით (+16.0%) გაიზარდა და 2.86 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. თვიურ ჭრილში, რეზერვების შემცირებაზე ზეგავლენა მოახდინა სავალუტო ინტერვენციებმა.

უძრავი ქონების რეგისტრაცია: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანახმად, 2016 წლის აგვისტოში, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 56,496 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 39.8%-ით არის გაზრდილი. ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველად (+109.6%), ასევე მეორად (+24.0%) სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობაში.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განაახლა. ფონდის თანახმად, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზია 3.4% (წინა პროგნოზი იყო 2.5%), ხოლო 2017 წელს მოსალოდნელია 5.2%-იანი ზრდა (წინა პროგნოზი იყო 4.5%).

დეველოპერულმა კომპანიამ „ა2 უძრავი ქონება“ 25 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის 3 წლიანი ობლიგაციები წარმატებით განათავსა. დეტალები იხილეთ ობლიგაციების გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

	9M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.7% ^(ა)	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,630	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,759	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7 ⁽¹⁾	3.7 ⁽¹⁾	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	0.1%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.9	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.4% ⁽²⁾	11.8%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

(2) 2016 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით

(3) 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016-2017

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №59 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- სტაბილური დაცემული ნოემბერი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დაცემული მარტი-2016	Fitch Ratings BB- სტაბილური დაცემული აპრილი-2016
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი


რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,150 მლნ ლარის (492.7 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.6 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 6.45% შეადგინა (უცვლელი წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 5 ოქტომბერს 2-წლიანი 33 მლნ ლარის (14.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 6.765% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 12 ოქტომბერს, სადაც 1-წლიანი 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.



წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები



წყარო: სებ
შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 26 ოქტომბერს შედგება.






ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ვერობლიგაციები (BGEOLN) დაიხურა 5.4%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.6 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციებით (GEOROG 05/17)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.7 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 4.0%-იანი შემოსავლიანობით და (GEOROG 04/21)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 105.4 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.4%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 112.6 ფასად (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 5.2%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ვერობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 112.1 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 3.9%-იანი შემოსავლიანობით.

დეველოპერულმა კომპანიამ „მ2 უძრავი ქონება“ 25 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის 3 წლიანი ობლიგაციების წარმატებით განთავსების შესახებ აცხადებს. ეს არის ქართულ კომპანიებს შორის ყველაზე დიდი მოცულობის ობლიგაციების განთავსება. ხსენებული სამწლიანი ობლიგაციები აშშ დოლარშია დენომინირებული და მომხმარებელს წლიურ საპროცენტო განაკვეთს, 7.5%-ს სთავაზობს. მ2-ის ობლიგაციების განთავსება კომპანია „გალტ & თაგარტ“-მა განახორციელა.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



საქართველოს ვერობლიგაციების ბაზარი



	ადგილობრივი ობლიგაციები					ვერობლიგაციები				
	M2RE 10/19	Nikora 03/18	GWP 11/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	25	5	6*	15	10	250	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	10/16	03/16	12/15	05/15	09/14	აპრ-2016	მაი-2012	ივლ-2016	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	10/19	03/18	12/17	05/17	09/17	აპრ-2021	მაი-2017	ივლ-2023	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, % Fitch/S&P/ Moody's	7.50	11.00	14.00**	9.50	8.75	6.750	6.875	6.000	6.875	7.750
	-/-	-/-	BB-/B1	-/-	-/-	BB-/B+	BB-/B+	BB-/B1	BB-/B+	BB-/B+
საშუალო ფასი, აშშ \$	100.66	103.04	100.0*	101.78	101.56	105.4	101.7	103.6	112.1	112.6
საშუალო პროცენტი %	7.25	8.750	15.0	6.50	7.125	5.4	4.0	5.4	3.9	5.2
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	397.9	270.2	388.9	256.2	384.0

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგი (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Baa3	112.1	3.9	256.2
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB-/B1/Ba1	104.3	4.1	258.8
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/B1	121.1	0.5	-234.2
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Baa2	107.3	2.5	245.8
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Baa1	115.0	2.8	148.6
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	119.5	2.8	145.9
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Baa1	107.8	2.7	141.6
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	107.1	3.9	255.6

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 30.43 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+4.79% წინა კვირასთან შედარებით და +1.30% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 270 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.27 – 31.91 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.67%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 0.38%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.68% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 12.65 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.39% წინა კვირასთან შედარებით და +17.40% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 1,965 ათასს გადააჭარბა, GBP 12.30 – 12.85 დიაპაზონში.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+7.35% წინა კვირასთან შედარებით და +6.09% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 21 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.00 – 3.18 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 21 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.10% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლიბერთი ბანკის აქციები ივარჯებოდა 0.016 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის არ შეცვლილა და 908.54-ზე შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
BGEO*	BGEO	37.75	1,491	-5.6%	16.6%	35.9%	16.7%	33.6%
TBC	TBC	12.65	622	17.4%	N/A	N/A	N/A	N/A
Halyk Bank	HSBK	6.45	1,773	3.4%	37.1%	53.9%	-24.1%	6.1%
KKB	KKB	1.33	530	-16.4%	-16.4%	44.6%	-65.0%	-54.0%
VTB Bank	VTBR	2.21	14,341	-2.6%	5.0%	4.5%	-3.8%	0.9%
Vozrozhdie nie Bank	VZRZ	11.50	273	7.0%	15.1%	62.5%	56.0%	21.1%
Sberbank	SBER	9.85	53,136	-0.9%	12.2%	47.8%	143.1%	85.1%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივარჯება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	3.94	519	-1.2%	-1.1%	65.8%	N/A	N/A
Mouwasat	MOUWASAT	31.14	1,557	-7.1%	-9.3%	1.3%	-5.3%	-4.8%
Fortis	FORH	2.59	1,201	-2.5%	9.7%	-1.6%	47.6%	-2.0%
Raffles	RFMD	1.11	1,931	-3.6%	-3.5%	0.1%	12.9%	2.5%
IHH	IHH	1.57	12,930	-4.3%	-4.0%	-7.3%	14.1%	6.8%
Bangkok Chain	BCH	0.36	893	8.8%	3.3%	17.7%	48.9%	85.9%
Netcare	NTC	2.56	3,747	5.6%	21.9%	8.6%	-22.0%	-7.4%

წყარო: ბლუმბერგი


შენიშვნა: *GHG ივარჯება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge